ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 148

12 ივნისი
"---" ---------- 2018 ∇

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს „ქ. თბილისში, საირმის ქუჩა №82-ში მდებარე 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.15.026.043) პირდაპირი განკარგვის წესით ზვიად მექვაბიშვილისთვის (პ/ნ: 33001008974) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ'' 2016 წლის 1 აპრილის №04- 1/37 ბრძანებით განსაზღვრული საიჯარო პირობებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის 2017 წლის 30 ოქტომბრიდან 2018 წლის 25 აპრილამდე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ზვიად მექვაბიშვილის (პ/ნ: 33001008974) გათავისუფლების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ'' ქვეპუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 16 მაისის №18.329.574 და 2018 წლის 31 მაისის №18.379.613 განკარგულებების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს „ქ. თბილისში, საირმის ქუჩა №82-ში მდებარე 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.15.026.043) პირდაპირი განკარგვის წესით ზვიად მექვაბიშვილისთვის (პ/ნ: 33001008974) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ" 2016 წლის 1 აპრილის №04-1/37 ბრძანებით განსაზღვრული საიჯარო პირობებით ნაკისრი ვალდებულებების 2017 წლის 30 ოქტომბრიდან 2018 წლის 25 აპრილამდე შეუსრულებლობისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ზვიად მექვაბიშვილის (პ/ნ: 33001008974) გათავისუფლებაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე